ელბერდ ბატიაშვილი

გლობალიზმი და ნაციონალიზმი

ციკლიდან - **„საშბრები ილია მართალზე“**

„რანი ვიყავით,
რანი ვართ,
რად შეიძლება ვიქმნეთ“!..



რედაქტორისაგან

ბ-ნ ელ.ბერდს წერის თავისი განსაკუთრებული სტილი აქვს, რაც, ჩემი აზრით, მკითხველისთვის უფრო საინტერესოს ხდის პრობლემის აღქმას. წინამდებარე ნაშრომიც ასეთ სტილშია დაწერილი. აქ გლობალიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართება ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შუქზეა გაანალიზებული.

ორიგინალურია ამ მეტად რთული პრობლემის პოეზიის პრიზმით წარმოდგენაც. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბ-ნი ელბერდი პოეზიის დიდი მოყვარულია და ამ მხრივაც თვითმყოფადი პოეტური ხედვა აქვს. როგორც ვიცი, ამ მიმართულებით გამოსაცემად ამზადებს სპეციალურ მონოგრაფიას: „ილია და „ვეფხისტყაოსანი" – პოეზია და პოლიტოლოგია".

ცალკე უნდა აღინიშნოს „ილიალოგთა კლუბის" მოღვაწეობა, რაც ხელს უწყობს ილიას მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ზრდას ჩვენს საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება „საერთო ნიადაგის" თეორიას, მის არსსა და ძიითად პრინციპებს. დარწმუნებული ვარ, რომ მონოგრაფია დიდ შემეცნებით სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველს.

ქლბერდ ბატიაშვილი

გლობალიზმი და ნაციონალიზმი

ციკლიდან - „საშბრები ილია მართალზე"

„რანი ვიყავით,
რანი ვართ,
რად შეიძლება ვიქმნეთ"!..

„მარად და ყველგან საქართველოვ,
მე ვარ შენთანა,
მე ვარო შენი თანამდევი
უკვდავი სული”!

რედაქტორი: *ნაზი ბახტურიძე*

ISBN 978-9941-0-5628-4

ეს უკვე VII ნაკვეთია ციკლისა – **„საუბრები ილია მართალზე“**. ამ ნაკვეთის სათაური თვითონვე ლაპარაკობს თემის აქტუალობაზე: ქართველობის დღევანდელ და ალბათ, მთელ შემდგომ თაობებსაც ცხოვრება მოგვიწევს სრულიად ახალ ვითარებაში, რომელსაც **„გლობალიზმის“** ცნებით აღნიშნავენ. ჩვენს თვალწინ ჩვენი ერიც და ჩვენთან ერთად, მთელი კაცობრიობაც სრულიად ახალი ღირებულებებისა და გამოწვევების წინაშე დგება...

ზოგად-კაცობრიული ღირებულებანი უცხო რამ არ არის ჩვენთვის. ამაზე ჩვენი ისტორიაც და კულტურაც ღაღადებს. თვით ჩვენი ენაც ამას გვეუბნება – ენა ხომ, უტყუარი და ამასთან, ყველაზე უძველესი წყაროა ამისთვის. ქართულ ენასაც თავისი კვალი დაატყო განუწყვეტელმა იმპერიულმა ზეწოლებმა ათას-წლეულების მანძილზე, მაგრამ საბედნიეროდ, მანაც შეინახა დღემდე თავისი თვითმყოფადობა, მათ შორის ზოგად-კაცობრიული მიმართებითაც:

„კაცი“ – „კაცობრიობა“, „დედა“ – „მიწა“, „ქვეყანა“ – „ქვეყნიერება“ და ბევრი კიდევ სხვა მათი მსგავსნი თვითონ ლაპარაკობენ ქართველი კაცის მსოფლგაგებაზე. ქართული ენის ეს სიტყვა – **„სოფელიც“** რომ ავიღოთ, მისი ორგვარი სემანტიკური გაგება კაცის ერთ კონ-კრეტულ საცხოვრისსაც აღნიშნავს და გლობალურად საწუთისოფლო-საამქვეყნოსაც. ტყუილა ხომ არ მიეძღვნა ქართულ ენას **„ქებაი და დიდებაი“** – ჭეშმარიტად რომ **„მრავალი საიდუმლო არს დაფლული“** მასში...

ისე, რომ გლობალიზმი ჩვენ არ გვაშინებს, ოღონდ კი, ჩვენ ვიყოთ მისი გამოწვევების სიმაღლეზე. იგი ავიც არის და კარგიც იმისდამიხედვით, როგორ ვიმოქმედებთ თვითონ ჩვენ და ჩ ენი შემდგომი თაობები... გლობალიზმი ახალი საუკუნეების ინტეგრაციული პროცესების თანამედროვე ეტაპია და ამ მხრივაც ჩვენმა წინაპრებმა დიდი და მრავალმხრივი მასალა დაგვიტოვეს განსჯისა და ანალიზისთვის...

ეს განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეზე ითქმის. მისი ლინგვისტური ძიებანი, ასობით წერილები და სტატიები, განსაკუთრებით კი, პოლემიკა მესამედასელებთან ამ მხრივაც არის გასააზრებელი. „საუბრების" ეს ნაკვეთიც ამ მიზნით არის დაწერილი. ამასთან, როგორც წინა ნაკვეთებში, აქაც პოეზიაც მინდა შევაშველო სათქმელს. თვითონ ილიაც ხომ, სიყრმიდანვე პოეზიას სულის განსაკუთრებულ და აღმატებულ, **„ზეცით მოვლენილ"** მდგომარეობად განიხილავდა, **„ცით სულის გახსნას"...**

ამიტომ სწამდა „ზეციური საქართველოდან" მოვლინებულს თავისი მისიისაც:

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა,
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა".

რუსთაველმაც ხომ პოეზია „საღვთო საღვთოდ გასაგონად" და „სიბრძნის დარგად" წარმოგვიდგინა, მისი „სამსახოვანი" კლასიფიკაციაც კი მოგვცა და დაგვიხასიათა პოემის პირველსავე სტროფებში. ილია უდიდეს პატივს სცემდა ამ დიდ ეროვნულ და მასთან ერთად, ზოგადკაცობრიულ მემკვიდრეობას. **„ადამიანის სულიერებისა და ზნეობის დიდი საუნჯე და განძი"** – ასეთია პოემის მისეული აღქმა და პარადოქსია, რომ „ვეფხისტყაოსანი" დღემდე იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მიღმა რჩება. არადა, ტოლერანტიზმისა და ჰუმანიზმის ჩვენს ეპოქაში იგი ყოველმხრივ იმსახურებს ამას. ბევრი ერი როდი დაიკვეხნის ასეთი მემკვიდრეობით – იგი ხომ **„ნაადრევი ქართული რენესანსის"** მეტყველი მოწმეა...

ერის წინაშე პერიოდულად დგება ხოლმე, ჟამი ახალი გზების ძიებისა და დიდი სამომავლო გადაწყვეტილებებისა. **„ქართლის ცხოვრების"** ჟამთაღმწერლები არაერთ ასეთ დრო-ჟამს გვიფიქსირებენ. დღესაც ასეთი ჟამი გვიდგას ქართველებს. ერის ინტელექტუალური ძალების ვალია ღირსეულად უპასუხონ დროების ამ გამოწვევებს.

„საერთო ნიადაგის" თეორიის არსი ეროვნული ერთობის მიღწევაა. იგი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული

იდეოლოგია, „ოქროვანი ხანის საქართველოს“ გიორგი ათონელისეული **„ერთნებაობა – თანადგომის“** დიდი იდეის თანამედროვე გამოხატულებაა... სრულდება 25 წელი 9 აპრილიდან – უკანასკნელ წლებში ამ „ერთნებაობა – თანადგომის“ ყველაზე დიდი გამოვლინებიდან... 9 აპრილის თემაზე მინდა შემოგთავაზოთ ერთი მცირე ფრაგმენტი კრებულიდან – „ამონაკრები ძველი პოეტური რვეულებიდან“:

ცათა შინა
მტერთა რისხვად გაისმის
ცხრა აპრილის სისხლიანი აისი...
ყივის სისხლი დიდგორის და კრწანისის,
ზეობს სული ოცდაექვსი მაისის...
საქართველომ თავი იცნო თავისი,
ცხრა აპრილის სისხლიანი აისით...

სამწუხაროდ სულ სხვანაირად **„იცნო თავი საქართველომ“** შემდგომ წლებში – კვლავ „განყოფითა და ძნელბედობით“ შეიცვალა ის დიდი ერთობა. მხოლოდ ილიას საერთო ნიადაგი დაგვიბრუნებს ამ ერთობას კვლავ...

ამ 75 წლის წინ ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში – **„ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“**, ილიას **„ქართული კულტურის სწორუპოვარი ბელადი“** უწოდა და ერის ინტელექტუალურ ძალებს მისი მემკვიდრეობის კვლევისაკენ მოუწოდა.: ამ მოწოდების საფუძველზე 70-იან წლებში ლევან სანიკიძის ინიციატივით დაფუძნდა თსუ **„ილიალოგთა კლუბი“**, დაიწერა და გამოიცა რამოდენიმე მონოგრაფია და სამეცნიერო კრებულიც.

ეროვნული იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო – ასეთია ამ კვლევის შედეგი, ხოლო ჩვენი კლუბის სლოგანი ასეთი გახდა: **„ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი!“**

ჩვენ პრაქტიკულადაც ვცდილობდით გაგვეხორციელებინა ეს. 1987 წელს ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვასთან დაკავშირებით. „ილიალოგთა კლუბის“ ინიციატივით ივრისპირეთში, დავით გარეჯსა და დალის წყალსაცავს შორის დაიწყო 20 ათას მცხოვრებზე და

ცხრა საშეურნეო დარგზე გათვლილი დიდი სასოფლო-სადაბო დასახლების – **„ილიაწმინდას“** მშენებლობა. ქართველობისგან დაცლილ და აუთვისებელ, საზღვრისპირა რეგიონში ამ მშენებლობის განხორციელებას ჩვენ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მნიშვნელობას ვანიჭებდით. მახსოვს, როგორ ცდილობდა ბ-ნი ლევანი აეძულებინა ყველა ხელისუფლება ბოლომდე მიეყვანათ ეს საშვილიშვილო საქმე, მაგრამ ამაოდ – დღემდე **„ილიაწმინდას“** პროექტი განუხორციელებელ იდეად და ოცნებად დარჩა, ისე, როგორც ბევრი სხვა რამ ილიას მემკვიდრეობიდან...

კაპიტალიზმის ჩასახვისთანავე ილია ჩასწვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების პირობებში ქვეყნის **„ხსნა და გადარჩენა ახლა ხმალსა და თოფზე“** კი არ იყო დამოკიდებული, არამედ **„ფულსა და საქმეზე“**, რამეთუ – **„უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, იმათი საცხოვრისია“... „ხოდაბუნურ“** კორპორაციებზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკის შექმნა და განვითარება მისთვის ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი ამოცანა გახდა. ამიტომ ცდილობდა ბანკის მეშვეობით მის განხორციელებას...

„საერთო ნიადაგის“ თეორია, ტოლერანტიზმზე და ჰუმანიზმზე დაფუძნებული მისი ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები ჩვენს წინაშე არსებული პრობლემების სწორი გააზრებისა და გადაჭრის საშუალებაა. ამასთან, ეს თეორია და მისი პრინციპები ეროვნულთან ერთად, თანაბრად ეხება რეგიონალურ და გლობალურ პრობლემატიკასაც. ამიტომ სასურველი იქნება ყოველივე ამაზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გამართვა, რისი ინიციატივით „ილიალოგთა კლუბი“ ადრეც არაერთხელ გამოსულა. ღრმად გვწამს, რომ ილიას მემკვიდრეობა, მისი **„საერთო ნიადაგის“** თეორია აუცილებლობით თხოულობს ჩვენგან ასეთ საყოველთაო ყურადღებასა და მიზანმიმართულ მეცნიერულ კვლევას.

გლობალიზმი და ნაციონალიზმი

— კაცობრიობის ხსნა და მისი მომავალი დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერ მორიგებაშია საძიებელი

ილია ჭავჭავაძე

კაცობრიობის ისტორიის უკანასკნელი ორი საუკუნე თვალნათლივ გვიჩვენებს: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მასთან დაკავშირებული მასობრივი მოსპობის იარაღების არნახული ტემპებით განვითარება დღეს უკვე მივიდა იმ ნიშნულამდე, როცა ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა შექსპირისეული **„ყოფნა-არყოფნის"** დილემა. პირველი და მეორე მსოფლიო ომი ტკბილ-მოსაგონარ გასართობად მოეჩვენება კაცს, თუ, ღმერთმა ნუ ქნას და ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში მესამე მსოფლიო ომი გაჩაღდა. პირველი მსოფლიო ომიდან სულ რაღაც 100 წელი გავიდა და პირველი ტანკი, თვითმფრინავი და ტყვიამფრქვევი ღიმილს თუ იწვევს გლობალიზმის ჩვენს ეპოქაში...

არაერთმა დიდმა მოაზროვნემ გამოხატა ეს ვითარება უკანასკნელ ათწლეულებში. აქ მახსენდება ინგლისელი ნობელიანტის ბერტრან რასელის ცნობილი კალამბური: „თუ ჩვენ არ შეგვიძლია ერთად ცხოვრება, მაშინ ჩვენ მოგველის ერთად სიკვდილი". ქართველთაგანაც ბევრს უფიქრია ამაზე და ჩვენთვის საამაყოა, რომ **ნიკო ნიკოლაძემ** ერთ-ერთმა პირველმა დაიცვა დისერტაცია შვეიცარიაში ომისა და მშვიდობის პრობლემაზე...

მახსენდება 1961 წელს ჩემი სტუდენტობის დროს ნილს ბორის ვიზიტი თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტში და მისი მეტად ღრმა-აზროვანი გზავნილი — შეგონებაც: „დაპირისპირებულნი ურთიერთგამომრიცხავნი კი არა,

ურთიერთშემავსებელნი არიან!“. ლათინურ ენაზე დაწერილი ამ დიდი მოაზროვნისა და ფიზიკოსი – ნობელიანტის ეს შეგონება დღესაც შეგიძლიათ ნახოთ უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში... თავის დროზე ამ ფაქტს მეც გამოვეხმაურე პუბლიკაციით, რომლის სათაურია – **„ორი დიდი გენიოსი მოაზროვნის იდეური თანხვედრა“.**

ვინ არის ის მეორე დიდი გენიოსი მოაზროვნე? იგი გახლავთ ილია ჭავჭავაძე. დიახ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო და ნილს ბორამდე გაცილებით ადრე ეს დიდი იდეა, თანაც გაშლილი და ყოველმხრივი ანალიზის სახით მოგვცა ილიამ თავის პუბლიცისტურ წერილებში – **„ცხოვრება და კანონი“, „ევროპის მილიტაროზა და ამერიკის მერმისი“**, გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი წარმოთქმულ სიტყვაში და განსაკუთრებით კი მესამედასელებთან პოლემიკის მრავალრიცხოვან სიტყვებში, წერილებსა და სტატიებში...

მაშ ასე: აზრთა და იდეათა ორი დიდი მდინარება და მიმართულება – სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროში არსებული დაპირისპირებული ძალები ან სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა შეებრძოლონ ერთ-მანეთს, ანდა, ილიას ფორმულირება რომ ვიხმაროთ, „ბედნიერად მორიგდნენ ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. თუ თანამედროვე პოლიტოლოგიურ ენაზე გადმოვიტანთ ყოველივე ამას, ეს შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ორი თეორიული დოგმით – „ცივილიზაციათა და კულტურათა შეჯახების“ და მათ შორის „დიალოგისა და თანაარსებობის“ თეორიებით. პირველის ავტორია თანამედროვე ამერიკული პოლიტოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი სამუელ ჰანტინგტონი და მეორისა კი, არავის გაგიკვირდეთ – თანამედროვე ირანელი თეოლოგი და პოლიტოლოგი მუჰამედ ჰათამი. ესეც თავისებური სიმბოლიკაა – პირველი დასავლური კულტურისა და ცივილიზაციის წარმომადგენელია,

მეორე კი – აღმოსავლური მაჰმადიანური სამყაროსი, თუმცაღა ესეც უნდა ითქვას, ეს უკანასკნელი დღემდე მიუღებელი და დევნილია აქ. განსაკუთრებით ფუნდამენტალური ისლამიზმის წრეებში...

დღევანდელი მსოფლიო 3 დიდ განზომილებას და ღირებულებას ემყარება:

1. ზოგად-კაცობრიულს და ამიტომაც დამკვიდრდა ჩვენს ლექსიკაში ეს ცნებაც – „გლობალიზმი“, რომელიც კაცმა რომ თქვას, სხვა არაფერია, თუ არა ახლო თუ შორეული წარსულის ინტეგრაციული პროცესების თანამედროვე გამოხატულება. ამაზე ხაზგასმა აუცილებელია, რადგან ხშირად მას წარმოადგენენ ხოლმე, თანამედროვე მსოფლიოს რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას, კაცობრიობის ისტორიული განვითარების თავისებურ **„უნიკუმს“**, მაშინ როცა იგი სწორედ რომ ამ ისტორიის ფესვებიდან არის ამოზრდილი, მისი კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებიდან. ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო და ამ ჩვენს უსასრულო დროსა და სივრცეში ამაზეც ითქმის: გლობალიზმის ეს ისტორიული ფესვები ქრისტიანობამდეც არის საძიებელი და უფრო გამოკვეთილი სახით კი, ქრისტიანობის შემდეგ. ფაქტიურად ყველა ძველი იმპერიული წარმონაქმნი გლობალიზმის საწყისებს ატარებს და ამ მხრივ პირველი **„გლობალისტი“** ალბათ, ალექსანდრე მაკედონელია, ევრაზიური სივრცის პირველი გამაერთიანებელი, მერე რომის, შემდეგ კი, ძველი თუ ახალი იმპერიების მესვეურები. იმ ·ერიებს რა გამოლევს და მათ სისხლიან – ცრემლიან ისტორიას ალბათ მხოლოდ ეს პოზიტივი აქვს – გლობალისტური მისწრაფებანი. თანამედროვე მსოფლიოც ხომ ამაზე აშენდა ამერიკიდან ჩინეთამდე და ნორვეგიიდან სამხრეთ აფრიკამდე. ისე რომ, როგორც ჩანს, **„იმპერია“** მთლად სალანძღავი სიტყვა არაა. რას ვიზამთ, ისტორიასაც უყვარს ხუმრობა...

2. მეორე დიდი საწყისი გლობალისტური განვითარების თანამედროვე პროცესებისა, ეროვნულობაა. სწორედ იგი წარმოშობს და კვებავს ყველაფერს იმას, რასაც დღეს ჩვენ ცნება „ნაციონალიზმით“ ავღნიშნავთ. ამიტომ უნდა განვიხილოთ და გავაანალიზოთ ორივე ეს ფენომენი – გლობალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთთან ორგანულ კავშირსა და მთლიანობაში. ისტორიის ფილოსოფიაც სწორედ იმას გვეუბნება, რომ ამ ორი დიდი მოცემულობის განცალკევება და ერთმანეთისაგან მოწყვეტა შეუძლებელია და პრაქტიკულ პოლიტიკაში იგი მხოლოდ უარყოფით შედეგებამდე და ტრაგედიებამდე მიგვიყვანს.

3. მსოფლიო განვითარების მესამე დიდი რეალობა და სუბსტანტური საწყისი სოციალური ფენომენია. ეს ძველ ისტორიასაც ეხება, ახალსაც და უახლესსაც. უფრო აშკარად და გამოკვეთილად ეს ბოლო ორ საუკუნეზე აისახება. ამ ფაქტორის გათვალისწინების გარეშეც ვერც წარსულს გავიაზრებთ სრულყოფილად და ვერც აწმყოს და მომავალს. დღემდე არსებული ყველა იმპერიები სწორედ ამ ორი ფაქტორის – ეროვნულობისა და სოციალურის ზემოქმედებით ინგრეოდნენ და დაინგრევიან მომავალშიც, თუ კიდევ ვისმე ხელი ნაუცდა იმპერიის ფორმირებაზე: საბჭოთა კავშირის დაშლა ეკონომიკურ და იდეოლოგიურ კრიზისთან ერთად, ამანაც განაპირობა. ამაზე ბევრია ლაპარაკი ჯერ კიდევ 1977 წელს დისიდენტურად გამოცემულ ნაშრომში – **„იმპერიის ისტორიული ბედი“...**

ეს თეორიული სუბსტანტები რომ უფრო გასაგები გავხადოთ, უპრიანი იქნება ისინი ემპირიული მასალებით შევავსოთ. ისტორია ამ შემთხვევაშიც **„ჩვენი დიდი მასწავლებელია“**, ოღონდ რა თქმა უნდა, თუ ვისწავლით და გავუგონებთ მას. ამ შემთხვევაშიც ჯობია ჩვენს ისტორიას მივხედოთ – ნათქვამია, ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო, და საქართველოს ისტორია არავისზე ნაკლებ მასალას გვაძლევს ამ

თვალსაზრისითაც. სხვა თუ არაფერი, მიდიიდან მოყოლებული 9 იმპერია გამოგვიცვლია დღემდე...

ილია წერს: **„რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსეევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ლრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი...**

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის, როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხეველნი მამულისათვის, რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? — მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი"... („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?", „ივერია", 1897 წ. 31 დეკემბერი).

საახალწლოდ დაწერილ ამ სარედაქციო წერილში ილია უკვე გრძნობს მომდევნო XX საუკუნის დიდ განსაცდელებს, **„იმ დროების"** დიდ გამოცდას მრავალჭირნახადი ერისათვის, რაც მას წინ ელოდება კაპიტალიზმის პირობებში. აქ უკვე სულ სხვა **„ციხე-სიმაგრე"**, სხვანაირი **„ფარ-ხმალი"** უნდა ერს და ქვეყანას გადარჩენისთვის. <u>შრომა და საქმე, ფული და ეკონომიკა უნდა გახდეს დღეს ეს „ციხე-სიმაგრე და ფარ-ხმალი" კაპიტალიზმის ეპოქის ქართველობისთვის — ასეთია ილიას გზავნილი ჩვენთვის...</u>

მსოფლიო'ა,აც თუ გადავხედავთ, კაპიტალიზმმა ევროპაში და შემდგომ დანარჩენ მსოფლიოშიც სულ სხვანაირი სამხედრო — პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და გარემო-პირობები შექმნა. გამონაკლისი ამ მხრივ არც რუსეთის იმპერია და მისი კოლონიები იყო. დაიწყო დაუნდობელი და სისხლისმღვრელი ომები მსოფლიოს ახალი გადა-

ნაწილებებისთვის. ამასთან, ძველმა **„ველურმა კაპიტალიზმმა“** სოციალური დაპირისპირება და ანტაგონიზმიც სრულიად ახალ ხარისხში აიყვანა, არანაკლებ სისხლისმღვრელი რევოლუციები რომ ასაზრდოვა უკანასკნელ საუკუნეებში. სოციალურმა ფაქტორებმა სრულიად სხვა ხასიათი და მასშტაბები მისცა კაცობრიობის ისტორიულ განვითარებას. ეროვნულთან ერთად, ეს სოციალური და მასთან ერთად, ფსიქიკური ფაქტორებიც განაპირობებენ დღესაც ანარქიზმსა და ტერორიზმს გლობალიზმის ეპოქის მსოფლიოში. ამიტომ უნდა **„კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახების“** ნაცვლად, **„დიალოგისა და თანამშრომლობის“** პოლიტიკას დანერგვა და განხორციელება დღესაც და მომავალშიც. სხვანაირად ახალ, კიდევ უფრო დიდ ტრაგედიებს ვერ ავიცილებთ თავიდან, ვიდრე ეს „ველური კაპიტალიზმის“ წინა ეპოქებმა წარმოშვა...

რუსეთშიც დაიწყო რევოლუციების ეპოქა. სოციალური აქაც განვითარების მთავარი ფაქტორი გახდა. ილია ამ ვითარებასაც ჩასწვდა და სწორედ მესამედასელ მარქსისტებთან პოლემიკაში განავითარა თავისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები. აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს პრინციპები, რომელთა რაოდენობაც ორ ათეულს აღემატება, თანაბრად ეხება როგორც სოციალურ და ეროვნულ, ისე ზოგად-კაცობრიულ განვითარებას. მათ შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია პუბლიკაციების ჩვენეულ ციკლში – „საუბრები ილია მართალზე“. აქ კი გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ მათგანზე – „საერთო ნიადაგის“ თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძველზე – **„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.**

„საერთო ნიადაგის“ თეორიის ეს უნივერსალური მეთოდოლოგიური პრინციპი თანაბრად ეხება საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების უკლებლივ ყველა მხარეს, მათ შორის სოციალურ-ურთიერთობებსაც. ილია ჩასწვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მარქსისტული კლასობრივი დაპირისპირებისა და ბრძოლის მეთოდოლოგიური პრინციპი პრობლემების გადაჭრის ნაცვლად, კიდევ უფრო დიდ პრობლემებს შეუქმნიდა ბოლოს მთელ საზოგადოებრივ განვითარებას. ამიტომ იყო მიუღებელი მისთვის ქართველი მარქსისტების დაუოკებელი სწრაფვა სოციალური დაპირისპირებით **„განხეთქილება შეეტანათ ქართველ ერში“**. მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ „ველური კაპიტალიზმი“ თავისი ობიექტური შედეგებით „ანთვითეულობდა და დასდასად ანცალკევებდა“ ერის როგორც მწარმოებელ, ისე ინტელექტუალურ ძალებს. აქ მე მაგალითად მინდა მოვიყვანო სტალინის ფენომენი. ცნობილია რომ „დილას“ ავტორთან ილიას თავიდან გარკვეული სიმპატიები ჰქონდა. ამ მხრივ, მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ მან. თავის სარედაქციო სვეტში დაუბეჭდა „ივერიის“ პირველ გვერდზე პატრიოტიზმის თემაზე დაწერილი ლექსი – „დილა“ (**„ივერია“**, №123, 1895 წელი). მაგრამ „სოსელოს“, ისე როგორც ძალიან ბევრი სხვა „მესამედასელის“ მსოფლმხედველობა მალე იმპერიის წიაღში მომწიფებული სოციალური სიძულვილისა და რევოლუციური ფანატიზმის მიმართულებით გადაერთო და გადაიხარა. ამის ნიმუშად გამოდგება იგივე „ივერიაში“ (1895 წლის 15 დეკემბერი) დაბეჭდილი მისი მეტად სიმბოლური ლექსიც, სადაც პიროვნების ეს მეტამორფოზაა გადმოცემული:

„ამქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარი-კარ დაწრიალებდა,
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა-ტკბილად აწკრიალებდა“

და მერე მოდის ამ ასაკის პიროვნებისათვის სრულიად უჩვეულო ფერიცვალება და გარდასახვა, რომელსაც ადრეც ვხვდებით ლექსში – **„ნინიკა"** (ჟ. **„კვალი"**, ივლისი, 1895 წელი): ამ მის **„ხმა ტკბილად"** მოუბარ ქადაგს, რომლისგანაც მხოლოდ **„სიყვარულის ციური ხმები ისმოდა" „დიდების მაგიერ"**, ბოლოს **„შხამით აღსავსე ფიალა"** ერგო წილად თავის მრევლისაგან:

„და უთხრეს – „შესვი წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!"

ასე წალეკა და გადაფარა სოციალურმა ეროვნული ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც და შეიძლება ითქვას, მთელი მაშინდელი ეპოქის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ეს ეპოქის ობიექტური პროცესია და ამაში ბრალი არავის მიუძღვის. თვითონ ილიაც – **„ქართული ნაციონალიზმის ბურჯი"**, არაერთგზის აღნიშნავს, რომ სოციალური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე, ვერც ეროვნულ პრობლემას გადავწყვეტთ. კლასიკური მაგალითი ამისა არის მისი პოემა **„აჩრდილი"**:

„შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის" – ანდერძად დაგვიბარა მან და ეს ანდერძი დღემდე შეუსრულებელი დარჩა, ისევე როგორც მისი სხვა იდეები და პრინციპები. სოციალურ უსამართლობას არაერთი დიდი საქმე და პიროვნება შეეწირა მაშინაც და შემდეგაც. აქ მე მახსენდება **ნიკო ფიროსმანი**, ყველასაგან უარყოფილი, მიტოვებული და შიმშილით სიკვდილისთვის განწირული მსოფლიო რანგის გენიოსი მხატვარი, გენიოსი, რომლის საფლავიც კი არ ვიცით დღეს. ამ ფაქტს მე პოეტურადაც გამოვეხმაურე და მინდა შემოგთავაზოთ იგი:

სარდაფში ბნელა,
როგორც საფლავში,
მზეც გემალება...
ჭიქა არაყიც

ძველებურად
კვლავ გვენატრება...

ვიღას ახსოვხარ...
მარტოსული ხარ...
დუქნებში ახლა
ყანწს ყანწზე სცლიან,
შენთან კი ცივა,
ძალიან ცივა...

და ცივ სარდაფში
ნატრულობ არაყს,
საფლავის კართან
ერთ ჭიქა არაყს...
და ეს საფლავიც,
როგორც სარდაფიც,
რიყესთან ერთად
უკვალოდ გაქრა...

შენს ძვლებს კი, ახლა
ვეძებთ და ვეძებთ,
კუკიაზე თუ
პეტრე-პავლეზე...
მაგრამ რას იზამ
ჩემო ნიკალა, –
ასეთად დავრჩით
„ბედნიერი ერის"
დღევანდელი ნაშიერებიც...

ასეთი არის
გენიის ბედიც:
ძალიან გვიან,
ძალიან გვიან
თუ გვახსენდებით...

დრო კი მიდის, ჟამთა სვლას ვინ გააჩერებს და აჰა, გავლილეთ ის საუკუნეც... მოვიდა გლობალიზმის ახალი საუკუნე და ათასნლეულიც, მაგრამ სხვა ფორმით და მასშტაბებით ის ძველი პრობლემები მაინც პრობლემებად რჩება. მეტიც, მათ სხვა უფრო მწვავე პრობლემებიც ემატებათ. აქ კვლავ ილია მახსენდება, აზრობრივად უაღრესად დატვირთული მისი სტატია – **„მეცხრამეტე საუკუნე"**, ჩამოთვლის რა განვლილი 100 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის უამრავ სასწაულებს, ბოლოს ასეთ კითხვას სვავს:

„მაგრამ დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა?... არა გვგონია... დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა მომავალს საუკუნესა".

და ერთი კიდევ **„დიდი ტკივილი"**, რომელსაც ილია უსვავს ხაზს აქაც და ბევრგან სხვაგანაც, სადაც იგი ამ თემას ეხება: ადამიანის მორალი და ზნეობა, მისი **„სულის ღონე"** მატერიალურის საპირისპიროდ სულ უფრო **„საშიშრად ეცემა"** და ამის შედეგად კაციც, ადამიანიც სულ უფრო დეგრადირებული ხდება. თავისი ნოველა – **„კაცია – ადამიანი"?!**, ხომ ამ თემას მიუძღვნა...

მაშ ასე: ამ მხრივ XX საუკუნე კიდევ უფრო დაშორდა ამ ილიასეულ დილემას და XXI საუკუნეს კიდევ უფრო რთულად გადასაწყვეტი პრობლემები დაუტოვა გადასაჭრელად: **„ყველა დიდნი საქმენი და გმირობანი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის"**, მაგრამ ჯერ მაშინ რომ არ იყო ეს **„სულის ღონე"** წიწამურმა გამოაჩინა ნათლად და ახლა 100 წლის შემდეგ სად და რაში უნდა ვეძებოთ იგი?

მახსენდება ამ პრობლემაზე ამ 25 წლის წინ **„თსუ ილიალოგთა კლუბის"** დისკუსია. აქაც ორი დიამეტრიულად საპირისპირო პოზიცია გამოიკვეთა მაშინ: პირობითად მას შეიძლება ვუწოდოთ მატერიალისტური

და იდეალისტური. ეს ძველი, მაგრამ მარად აბალი ცნებებია და ასეთებად დარჩებიან მანამ, სანამ ადამიანის მეშვეობით ჰეგელის **„აბსოლუტური სულის"** თვითშემეცნების პროცესი არ დამთავრდება ვინ იცის რამდენი ათასწლეულის შემდეგ. ამ შემთხვევაშიც შემინდოს მკითხველმა ჩემი პოეტური გადახვევისთვის და მინდა შემოგთავაზოთ მაშინდელი ვითარების ჩემი პოეტური აღქმა კრებულიდან – „ფიქრები ღმერთსა და ადამიანზე, დედამიწასა და საქართველოზე". მახსოვს ლევან სანიკიძემ „შედევრი" უწოდა მას და პატარა ბავშვივით გამაწითლა. ამ პოეტურ გააზრებას და აღქმას ასეთი სათაური მივეცი მაშინ – „ყველაზე თავგადაკლულ მატერიალისტს":

„შენ მეუბნები,
– რისი სული, რისი უფალი?!
აბა, მიჩვენე, დამიმტკიცე
ცდით ან ფორმულით,
თუ არსებობს თვალუხილავი?!...

მე გეუბნები,
– თვალუხილავი
თუ არ არსებობს,
რად ნაბავ თვალებს,
რად მალავ გუგებს
ყველაზე დიდი ნეტარებისას?!...
დიახ, მონავ თვალხილულისავ,
რად ლულავ თვალებს
შესაცნობად ჭეშმარიტისას,
როს ცოდვილობ ათასნაირად
მაგ შენს ფორმულთა გააზრებისას?!...

მიპასუხე მონავ თვალხილულისავ,
თვალხილულს თუ ამჯობინებ
თვალუხილავსა,
რად მალავ გუგებს

ცხადშიც, სიზმარშიც
მთელი სიცოცხლე,
ყველაზე დიდი საიდუმლოს
როს ლამობ წვდომას,
თუ მისით ტკბობას?!...

ეს, როცა აქ ხარ...
და ბოლოს, როცა
იმქვეყნად წახვალ,
მოისტუმრებ წუთისოფელსაც,
ემაგ შენს ცდებსაც
და ფორმულებსაც,
თვალხილულთა მომზირალნი
ეგ შენნი თვალნი
მარადიულის მოტრფიალენი,
კვლავ გშორდებიან...
მიღმურობის შესაცნობად
ეშურებიან...

დღეს აქ სტუმრად ხარ,
ხვალ კი **შინ** წახვალ...
დიახ, **შინ** წახვალ
ფიქრის სიჩქარით, –
არა ბგერის, ანდა, სინათლის,
დიახაც რომ ფიქრის სიჩქარით...

მაგრამ ესეც ვიცი მე:
შენ ყველას ამას
გაიგებ ახლა
ჩემგან კი არა,
მონავ თვალხილულისავ,
გაიგებ მაგას
შენი მთავარი ცდებისა
და ფორმულების გამოყვანისას, –

წუთისოფელთან განშორების ჟამს,
დაბინდული გონების ზღვართან, –
დიდი სინათლის, ფიქრის სიჩქარის,
დიდი სიმართლის ნათელხილვისას...

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ პროზას და პოლიტიკას, გავიხსენოთ გაბრიელ ეპისკოპოსის ხსოვნისადმი ილიას სიტყვა: 1895 წლის 20 მაისს ბანკის წლიურ კრებაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, გაენათის მონასტერში წარმოთქმული ილიას ეს სიტყვა მე ქართული ორატორული ხელოვნების დღემდე მიუღწეველ ნიმუშად მიმაჩნია. რამდენჯერაც წავიკითხავთ მას, იმდენჯერ მასში სიბრძნისა და ჭეშმარიტების ილიასეული გენიოსური წვდომის ახალ-ახალ დადასტურებას ვნახავთ. დავიწყოთ თუნდაც იმით, თუ რა უბრალოდ, მაგრამ დიდი დამაინტრიგებელი შესავლით იწყებს მსმენელთა წინაშე თავის გამოსვლას:

„არ ვიცი ამდენს მშვენივრად თქმულ სიტყვებს შემდეგ, რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ რაც გინდა ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს – რა ღირსი თქმისა, და ზოგიც იმისთანა, რომ სათქმელი ზღვაა... არ ვიცით, რომელი მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიდებული სანახავია. ამისთანაა იგი, რომელსაც დღეს დავტირით“.

და აი, ილიას ღრმა ანალიტიკური აზროვნება ჩასწვდა ისეთ მხარეს ამ ერთდროულად დიდი სამღვდელო და საერო პიროვნებისას, რომელიც არათუ ჩვენთან, არამედ თვით მაშინდელ ევროპაშიც კი, უცხო და მიუწვდომელი რამ გახლდათ:

„დიახ, ბატონებო, დღეს სამუდამოდ ვეთხოვებით იმისთანა დიდბუნებოვან კაცსა, რომელსაც ღმერთი მოუვლენს ხოლმე ამ ცოდვილს ქვეყანას, რომ ადამიანმა მისის მიხედვით და მაგალითით შესძლოს საკუთარის ზნისა და ხასიათის გაწრთვნა და განმტკიცება...

საკმარისია კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი... მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა...

მე მსურს მხოლოდ აქ ავღნიშნო ერთი იმისთანა მხარე ამ დიდებული კაცისა, რომელშიაც არის ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთან სხვა კაცი, – საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობისყოფით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. აქ არის ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამცთუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელნი და მოუთავსებელნი არიან".

„მეცნიერების გასარწმუნოება და სარწმუნოების გამეცნიერება" – აი, მთავარი ანდერძი და გზავნილი ჩვენთვისაც და დანარჩენი კაცობრიობისთვისაც. აქ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სიტყვა და მოწოდება ითქვა მაშინ, როცა ათეიზმი უკვე საყოველთაო სენად იყო მოდებული. ურწმუნოებაც ლამის ინტელექტუალობის საზომად გახდა ყველგან და შესაბამისად, უზნეობამაც ფრთები გაშალა ყველგან და ყველაფერში. ილია გრძნობდა, თუ რა უფსკრულისაკენ მიექანებოდა კაცთა მოდგმა და ეს სიტყვაც ყოველივე ამისადმი პროტესტის გამოხატვაა. ილია ცდილობს ამ **„დიდბუნებოვანი კაცის"** მაგალითზე რწმენისა და ზნეობის გზაზე დააყენოს კაცთა მოდგმა:

„ქვეყანა, ბატონებო, საავსეა ხილულითა და არახილულითა ადამიანის სულიერი და ხორციელი თვალისათვის... ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე,

ვერ ირწმუნებ და ზოგი კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საღვთაურად ორისავე გზით...

ამ ორ საშფოთველოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწვავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი და რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერი მორიგებისა ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად".

ეს რაც შეეხება ზოგად-კაცობრიული ღირებულებების ილასეულ ხედვას და გააზრებას. სწორედ ამ ღირებულებებმა და მათზე დაფუძნებულმა ინტეგრაციულმა პროცესებმა ასაზრდოვეს ის, რასაც ჩვენ დღეს ცნება – **„გლობალიზმით"** აღვნიშნავთ. ახლა ვნახოთ როგორ ხედავდა ილია იმ ეროვნულ ღირებულებებს და ფასეულებებს, რასაც **„ნაციონალიზმს"** ვუწოდებთ. ვინც გაცნობილია ციკლის – „საუბრები ილია მართალზე", ჩემს წინა ნაკვეთებს, ემახსოვრება: დღევანდელი **„ნაციონალებისაგან"** (მე მათ ყველგან **„ფსევდო-ნაციონალებს და პათოლოგებს"** ვუწოდებ), განსხვავებით ილიასთვის ნაციონალიზმი პირადი ამბიციების დაკმაყოფილებისა და კეთილდღეობის მოპოვების საშუალება კი არაა, არამედ ცხოვრებისა და სიცოცხლის მიზანი, იმის ბუნებრივი მოთხოვნილება, რომ **„ტანჯვის ცრემლი"** მოწმინდოს ერს, მის მოძმედ და მოჭირნახულედ იყოს **„ჭმუნვასა და სიხარულში"**. ეს მან თავის მრწამსად გამოაცხადა ჯერ კიდევ 1860 წელს („პოეტი"):

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული"...

მაგრამ ამასთან, ილიას ნაციონალიზმი რაღაც კარჩაკეტილი, ზოგად-კაცობრიული ღირებულებებისა და მისწრაფებებისაგან მოწყვეტილი არაა. სტატიათა თავის ციკლში—**„წერილები ქართულ ლიტერატურაზე“**, იგი. ბარათაშვილის ყველაზე დიდ დამსახურებად იმას განიხილავს, რომ მან რუსთაველთან და წარსულის სხვა ჩვენ დიდ მოაზროვნეებთან ერთად, **„კაცობრიულის წყურვილს ქართველიც დააწაფა“**. ილიას და ქართული ნაციონალიზმის ამ ტოლერანტულ და ზოგად-კაცობრიულ ხასიათზე ჩვენ ადრეც ბევრგან ავღნიშნეთ, აქ კი გლობალიზმისა და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართების ჩვენეულ გააზრებასთან დაკავშირებით, ესეც გვინდა ვთქვათ:

როდესაც ერის წინაშე ისტორია მისი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის, **„მამულის, ენისა და სარწმუნოების“** შენარჩუნების დილემას დააყენებს, იქ მას და მის ინტელექტუალურ ძალებს უპირველეს და ყველაზე გადაუდებელ ამოცანად ყოველივე ამის შენარჩუნება და განმტკიცება უნდა მიაჩნდეს. ეს განსაკუთრებით იმ ეპოქაში და იმ დრო-ჟამს, როცა ყოვლისმომცველი ინტეგრაციული პროცესები ამის რეალურ საფრთხეს ქმნიან. **„თუ ერს კიდევ სურს ერობა და თავი სასიკვდილოდ არ გადაუდვია, ეს მარად უნდა აწსოვდეს“**. მესამედასელთა კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მისი დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მოტივი ესეც იყო...

განსაკუთრებით მწვავედ და პრინციპულად აღუდგა წინ **„ძნელბედობით“** მოძალებული კუთხურობის ჩვენს ძველ ეროვნულ სენს. ამასაც იყენებდნენ იმპერიის რეაქციული ძალები თავიანთი **„გაყავი და იბატონეს“** პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოშიც და კავკასიაშიც. „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, მიზანი და დანიშნულება ამის მხილებაცაა. აქ მე მინდა გავიხსენო ზემოდაღნიშნული მისი სიტყვა ბანკის 1895 წლის საერთო კრებაზე,

რომელიც მაშინ თავისებური **„ქართული პარლამენტის"** სახითაც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა და გავიმეორებ, სადაც წარმოთქმული ილიას სიტყვა ქართული ორატორული ხელოვნების ნიმუშია დღემდე:

„მე ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყვე, რომ გუშინწინ ჩემი ქებადიდება მოგისმენიათ ერთის ორატორისგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსენება, მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ, ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო. აქ ერთს ორატორს მეორეზედ უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო. მე არ ვახსენებ ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს – რა...

მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭირო არის ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს. როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში – მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვია?!

ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულისშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი სწავლულნი და მეცნიერნი სისხლისღვრით იბრძოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისგან დამხობილი ძმობა და ერთობა .. (და) ანდერძად დაგვიტოვეს, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ ბედნიერებაო. ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება...

დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენს შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა

მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიაკარებს... დეე, ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა".

მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. ილიას და მისი „საერთო ნიადაგის" თეორიის ტრაგედიაც ის იყო და დღესაც ის არის, რომ ამ კუთხუროობის გარდა, დამატებით **„განყოფის"** სხვა არაერთი „თესლი ჩაითესა" XX საუკუნის მესამედასურ საქართველოში, სხვა არაერთი **„უკეთური აზრი დაიბადა და აკვანი დაიდგა"** ამერ-იმერით. „საერთო ნიადაგის" თეორიაც იმიტომ გვჭირდება, რომ ყველა ამ უკეთურობას **„თავისი საკადრისი სამარე გაეთხაროს"**...

ვინც ილიას პუბლიცისტიკას კარგად იცნობს, მას უთუოდ გაახსენდება, რომ დიდი ისტორიული პიროვნების დასახასიათებლად ხშირად ხმარობდა გამოთქმას – **„დიდბუნებოვანი კაცი"**, აგრეთვე, მის სინონიმსაც – **„ზოგად-კაცი"**. ამ უკანასკნელს იგი თვით ცნება **„ერისკაცზე"** მაღლაც კი აყენ.ებს და ამით უნდა დაგვანახვოს, რომ ზოგად-კაცობრიული მასშტაბით მოღვაწე კაცი ერისა და ქვეყნისათვის **„ალმატებულობის მაჩვენებელია"**. ასე უდგება მაგალითად ამას, როცა ეს ცნება – **„ზოგად-კაცი"** გამოყენებული აქვს **„ვეფხისტყაოსნის"** მთავარი გმირების დასახასიათებლად, რითაც ხაზს უსვამს, რომ ოდითგანვე ზოგადკაცობრიული ღირებულებანი და იდეალები ქართველისთვის ბუნებრივი და თანდაყოლილი ნიშანთვისებაა. ამიტომაცაა, რომ ქრისტიანობა ასე ორგანულად შეერწყა და შეესისხლხორცა ქართველი კაცის ბუნებას და საქართველოს ისტორიას. სწორედ ამას უსვამს ხაზს ილია **„აჩრდილის"** ბოლო სტროფებში:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა,
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს ულვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მიეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგენისა,
სახელოვანი განუახლე წარსულ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოპმადლე შვილსა...
მოპმადლე ქართველს ქართლის ნდომა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!...

ადრეც არაერთხელ გვითქვამს: ძველი „ოქროვანი ხანიდან" საქართველოს ისტორიის ახალი ოქროვანი ხანისკენ! – ასეთია ილიას ნაციონალიზმის, მისი „საერთო ნიადაგის" თეორიის უმთავრესი იდეა და პოლიტიკური არსი. ნაციონალიზმის ეს გაგება სრულ თანხვედრაშია ჰუმანიზმისა და თანამედროვე გლობალიზმის სხვა ნებისმიერ ღირებულებასთან. კაცის და კაცობრიობის სიყვარულზეა აშენებული ასეთი ნაციონალიზმი და ამიტომაც არის შესაძლებელი და ამასთან, საჭირო და აუცილებელიც მისი **„ბედნიერი მორიგება"** გლობალიზმთან ერთმანეთის **„დაუმონებლად და შეუბღალავად"**...

გლობალიზმიც, თუ ისიც ჰუმანიზმის ამ პრინციპსა და ღირებულებებს დაეფუძნება, სრულ თანხვედრაში აღმოჩნდება ასეთ ნაციონალიზმთან. ამ ღირებულებებიდან კი, უპირველესი და უმთავრესი თავისუფლება. თვითონ ამ ქართული სიტყვის სემანტიკა: „თავის – უფალი", თავისთავად მეტყველებს ამაზე. პოემაში – **„ქართველის დედა"**, რომელიც შამილის აჯანყების ფონზეა გაშლილი. და **„კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა მთელი კავკასიის თავისუფლების"** იდეით

არის გაჟღენთილი, ილიამ დიდი ემოციური ძალით დამუხტული ჰიმნი მიუძღვნა მას:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა".

და საოცარი კითხვა – დილემა, რომელსაც ილია სვამს აქვე და რომელიც თავისუფლების მაძიებელთა ტრაგიკულ ბედს უსვამს ხაზს მაშინაც და ახლაც:

„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი,რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არის?"

მაშინდელი **„კავკასიური ომების"** ფონზე ყველაფერი ეს განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს. ამ ომმა, ისე როგორც შემდეგშიც ახალ-ახალმა კავკასიურმა ომებმა მართლაცდა, როგორც პოემაშია – **„კაცთა სისხლით შელება კავკასიის მთები და ველი"**. ვისაც მაშინდელი **„აქტების"** ტომები გადაგიკითხავთ, რომლებიც თვით რუსი გენერლების **„პატაკებზეა"** აგებული, დამეთანხმებით – კაცობრიობის ისტორიაში იშვიათად ვნახავთ ასეთ კაცთმოძულეობას, ვერაგობას და დაუნდობლობას... კავკასიურ ტოპონიმებშიც აისახა ყოველივე ეს. დღეს სოჭის ოლიმპიადის მთავარი არენა ხომ **„კრასნაია პოლიანაა"**, სადაც სწორედ ილიას ეპოქაში ჩერქეზთა გენოციდის სისხლიანი დრამა გათამაშდა. ეს ყველაფერი **სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმის** შედეგია, იმპერიულ პოლიტიკას რომ ახლავს თან ოდითგან...

ივანე მრისხანეს „მეთოფეთა პოლკებიდან" მოყოლებული, რუსეთის ეს სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ტერორიზმია, რომ სისხლიანი ტრაგედიები ასაზრდოვა იმპერიის უზარმაზარ სივრცეებზე და განსაკუთრებით კი, კავკასიაში. **„ვლადიკავკაზის"** სიმ-

ბოლიკა თავისთავად მეტყველებს ამაზე... მაგრამ განა თვითონ რუსეთისთვისაც კი მომგებიანი და სასარგებლოა ასეთი იმპერიული პოლიტიკა? არა მგონია. იგი ძირს სცემს მის საერთაშორისო პრესტიჟს და არც ქვეყნის შიგნით თვით რუს ხალხში სარგებლობს დიდი პოპულარობით. ამის დასტურია თუნდაც დღეს ხალხში მოარული ეს სიმბოლური პროტესტანტული ლოზუნგი – **„ხვატიტ კორმიტ კავკაზ!"**. ნორმალური პოლიტიკის პირობებში, რუსეთსაც უნდა აწყობდეს შვეიცარიის მსგავსი კავკასიის კონფედერაციის შექმნა ევრაზიულ სივრცეში. ამისათვის მან იმპერიული ამბიციები უნდა მოიშოროს თავიდან. ეს ალბათ, ხელისუფლებაში სლავოფილების ნაცვლად, **„მედასავლეთეებმა"** მოსვლით გახდება შესაძლებელი...

არისტოტელედან მოყოლებული, სახელმწიფოსა და სახელმწიფო პოლიტიკის პრობლემები მუდმივი განსჯის საგანია და XX საუკუნემ განსაკუთრებული აქტუალურობა შესძინა მას. ორი მსოფლიო ომი, მათი აუარაცხელი ნგრევა, სისხლი და ცრემლი განაპირობებს ამას. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დროს გაჩნდა ე.წ. **„ევროპის შეერთებული შტატების"** იდეა. **„ანტანტა" – „სამთა კავშირით"** შუაზე გახლეჩილ ევროპას მხსნელ იდეად და პოლიტიკურ პროგრამად მოევლინა ეს, მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდგომ ხდება შესაძლებელი, დღეს „ევროკავშირის" სახელწოდებით რომაა ცნობილი და რისკენაც ჩვენც მივისწრაფვით, როგორც ჩვენი მომავალი მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების გარანტისკენ...

ამ თემაზე „საუბრების" ერთ-ერთ ნაკვეთში (**„საბჭოთა კავშირ. დან ევროკავშირისაკენ"**), საკმაოდ ვრცელი ანალიზი არის გაკეთებული, აქ კი მინდა ავღნიშნო შემდეგი: გლობალიზმის ინტეგრაციული პროცესები ჩვენს თვალწინ ისეთი სწრაფი ტემპებით ვითარდება, რომ ალბათ სულ მალე, ყოველშემთხვევაში, ამ საუკუნეში თუ არა, მომდევნოში აუცილებლად, კაცობ-

რიობის განვითარება **„ევროპის შეერთებული შტატებიდან"** ბოლოს **„მსოფლიო შეერთებული შტატებისკენ"** ნარიმართება. მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნიოლოგიური რევოლუციები „უსაზღვრებო მსოფლიოსკენ" მიგვაქანებს და ე.წ. **„პოსტინდუსტრიული საზოგადოებაც"** ერთი რომელიმე კონტინენტის კი არა, საერთო-საკაცობრიო მოვლენა გახდება. ამას კი, ეპოქის შესატყვისი **„დიდბუნებოვანნი კაცნი"** დასჭირდებიან და ისინი აუცილებლად გამოჩნდებიან, როგორც ეს გამოჩნდნენ ჩვენს ეპოქაში რასელის, განდის, მანდელას სახით... სწორედ მათი და მათ მსგავსთა სიბრძნით და ზნეობრივი მაგალითით იქმნება განვითარების ახალი გზები და კანონზომიერებები კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში...

სტატიათა ციკლში – **„ცხოვრება და კანონი"**, ილია ინტეგრაციული პროცესების სწორედ ასეთ ახალ კანონზომიერებებს უსვამს ხაზს და იმასაც აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი სახელმწიფო მართველობის დეცენტრალიზაციის გზით წარიმართება. ეს იდეაა ჩადებული მის თეზაში – **„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია"**! ამ პრინციპის განხორციელებას იგი **„ხოდაბუნური საამხანაგო გაერთიანებებით"** ცდილობდა. საქართველოს პირობებში **„ხოდაბუნების"** ერთიანი ეროვნული სისტემის შექმნით ილიას ეს გლობალური ზოგად-ფილოსოფიური გააზრება, რომელსაც ჩვენ „საერთო ნიადაგის" თეორიის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ პრინციპად განვიხილავთ, შემდგომში კიდევ უფრო გამოკვეთილ სახეს აძლევს მას ვარლამ ჩერქეზიშვილი – კიდევ ერთი ქართველი **„დიდბუნებოვანი კაცი"**, თავისი **„ანარქო-სინდიკალიზმისა"** და **„სოციალ-ფედერალიზმის"** იდეებით...

ყველაფერი ეს ერთიანდება ე.წ. **„სახელმწიფოს კვდომის"** თეორიაში. ამ თეორიის საფუძველზე წარმოიშვა ანარქიზმის მძლავრი სოციალურ-პოლიტიკუ-

რი მიმდინარეობა. ამ თემაზეც ვრცელი ანალიზი გადმოცემული გვაქვს „საუბრების“ ერთ-ერთ ნაკვეთში (**„იოსებ სტალინი და ვარლამ ჩერქეზიშვილი: იდეური ბრძოლა დღესაც გრძელდება“**, თბ. 2011 წ.), სადაც ჩერქეზიშვილი მკვეთრად დაუპირისპირდა სახელმწიფოს მარქსისტულ თეორიას... ანარქიზმის „სახელმწიფოს კვდომის“ იდეა ხშირად პრიმიტიულად და პირდაპირი გაგებით აღიქმება, მაშინ, როცა ანარქიზმის სერიოზული თეორეტიკოსები მას ობიექტური ისტორიული პროცესის სახით განიხილავენ. „სახელმწიფოს კვდომა“ გლობალიზმის პირობებში საბოლოოდ ნიშნავს ცენტრალიზირებული მმართველობიდან თანდათანობით გადასვლას რეგიონალურ და ადგილობრივ თვითმართველობაზე.

ამ გაგებით სახელმწიფო კი არ **„კვდება“**, არამედ იცვლის თავისი არსებობის პოლიტიკურ ფორმებს და შინაარსს. გერცენის, ბაკუნინის, კრაპოტკინის რუსული სოციალიზმის და **„რუსული თემის“** ფენომენიც ხომ, ამაზე იყო გათვლილი და დაფუძნებული. „ჩერკეზოვ“-ჩერქეზიშვილიც იმიტომ ემხრობოდა ამ იდეას, რომ ამ გზით იმპერიული რუსეთი დემოკრატიულად გარდაქმნილიყო, ასე ვთქვათ, **„გაევროპელებულიყო“** ისიც და მისი სახელმწიფო მართველობაც, რაც მას საქართველოს ხსნადაც მიაჩნდა. პირველად გრიგოლ რობაქიძემ შენიშნა ჩერქეზიშვილის ეს მიზანსწრაფვა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის წლებში, მაგრამ ბოლშევიზმმა რუსეთის ამ **„გაევროპელობის“** მორიგ ცდას ლახვარი ჩასცა და კვლავაც **„სლავოფილობა“** გააბატონა...

დღეს გლობალიზმი თავისი ობიექტური პროცესებით ყველაფერთან ერთად, ძირეულად ცვლის სახელმწიფოს ფუნქციებსაც, მის ადგილსა და როლს საზოგადოებრივ განვითარებაში. ეს რა თქმა უნდა ხანგრძლივი ევოლუციური პროცესია, მაგრამ იმის ნიშნები კი ახლავე იკვეთება, რომ ცენტრალიზირებული მართვა-გამგეობა აუცილებლად

შეიცვლება რეგიონალური ფართო აღჭილობრივი თვითმმართველობით, იმით, რასაც ვარლამ ჩერქეზიშვილი და მისი ევროპელი თუ ამერიკელი თანამოაზრენი **„სინდიკატებს“** ანუ **„თვითმმართველურ ასოციაციებს“** უწოდებდნენ მაშინ. ეს დიდი იდეა ბოლშევიკურმა და ფაშისტურმა ტოტალიზმმა არარაობად აქციეს, მაგრამ ჯანსაღი აზრი და ჯანსაღი იდეა ხომ, არასოდეს არ იკარგება, ილიასი არ იყოს, – **„ცხინი ცხოვრების ხნულში აუცილებლად აღმოცენდებიან კვლავ“**. ამ მხრივ მეტად სიმბოლურ თეზას გვაძლევს „ქართლის ცხოვრებაც“: ქვეყნის ყოველი ახალი **„მოოხრების“** შემდეგ დგებოდა **„ჟამი საქართველოს ახლად შენების“**. სწორედ ასეთი ჟამი გვიდგას ჩვენც და კაცობრიობასაც დღეს...

ერთი სიტყვით, დღევანდელი გლობალიზმიც და მის პარალელურად მომძლავრებული ნაციონალიზმიც თუ შესძლებენ ცივილიზირებულ თანაარსებობას და **„ბედნიერად მორიგებას ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“**, მაშინ ჩვენი დიდი წინაპრების ეს ჰუმანური და დემოკრატიული იდეებიც რეალობად იქცევიან, მათ შორის **„ევრაზიის ერთიანი დემოკრატიული სივრცის“** იდეაც. ეჭვი არაა, რომ კავკასიაც და კავკასიელებიც, როგორც ამ სივრცის ერთ-ერთი ორგანული ნაწილი, თავისი რეგიონალური გაერთიანებით და თვითმართველობით, ამ დიდ გლობალურ პროცესებში ჩაერთვებიან, როგორც ამას ილია და ვარლამ ჩერქეზიშვილი წინასწარმეტყველებდნენ.

კაცი ოპტიმისტი უნდა იყოს და ჩვენც ალბათ უნდა გვწამდეს, რომ ბოლოს სიკეთე სძლევს ბოროტებას. აკი, რუსთაველი ხშირად იმეორებს ამას, იმ ცნობილი აფორიზმის გარდა ყველგან, სადაც კი **„სოფლის ავზნეობაზე“** ლაპარაკობს: **„ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა..., მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა“.**

უთუოდ აქეთკენ წავა კაცისა და კაცობრიობის საქმეც, თუკი **„გლობალისტებიც“** და **„ნაციონალისტებიც“** შევძლებთ ერთმანეთში **„პედნიერად მორიგებას“**, – ანუ **იმის** ღვთიური სიტყვის შეცნობას და გაგებას, **„რომელმან შექმნა სამყარო...“**

ალბათ, აქ ესეც უნდა ითქვას: რაც არ უნდა ვთქვათ და ვიმარჩიელოთ, ზუსტად და უშეცდომოდ ძეხორციელი ვერავინ იტყვის რა მოხდება ხვალ და ზეგ და მითუმეტეს, 10 თუ 100 წლის შემდეგ. ჩვენ ხომ ყველანი ამ წუთისოფლის სტუმრები მუდმივი ლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ. აქ მახსენდება **„ოთარაანთ ქვრივის“** ერთი პასაჟი, ილიასებურად ლაკონურად თქმული, როცა მომაკვდავი ქმარი ცოლს ამშვიდებს და ანუგეშებს (IV თავი – **„განძი და ანდერძი“**):

– რა გატირებს ადამიანო! განა შენ კი შერჩები ამ წუთისოფელსა. ყველას ბოლო ეს არის... **„სააქაოს სტუმარი ვიყავ და ახლა შინ მივდივარ“**. ამ **„შინ წასვლაში“** რა აზრს დებს ილია, ძნელი მისახვედრი არაა – ხორცზე სულის ზეობა, სულის უკვდავება ხომ, პოეზიაშიც არაერთგან აქვს გაჟღერებული...

„საერთო ნიადაგის“ თეორიისა არ იყოს, 1887 წელს დაწერილი ქართული ნოველის ეს შედევრიც ბოლომდე გაუგებარი დარჩა. იგი პირველ რიგში, მხატვრულად გადმოცემული საქართველოს ისტორიის ფილოსოფიაა. ავტორი ამაზე პირველსავე სტრიქონში მიგვანიშნებს: **„იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „ნაბლიანს“ დავარქმევ...“**. მისი ყველა ოცდაორივე თავი დიდი ეროვნული და ზოგად-კაცობრიული სიმბოლიკების მატარებელია. ავიღოთ თუნდაც ბოლო თავები – გიორგი – საქართველოს სიკვდილი, ოთარაანთ ქვრივის – ილია ჭავჭავაძის **„ზარი“**, არჩილისა და კესოს – ახალი საქართველოს **„დასაწყისი განთიადისა“** და განსაკუთრებით ნოველის ბოლო ორი თავი – ისინი ხომ, ძნელბედობაგამოვლილი საქართველოს ტრაგიზმის

მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრებაა... ეს იმედნარევი შეგრძნება პოეტურად ასე შეიძლება გამოთქვას კაცმა:

იმედით ცოცხლობდა ყველა ქართველი,
იმედით ვცოცხლობთ დღესაც,
ხვალაც იმედით უნდა ვიცოცხლოთ,
არ მოგვიშალოს ღმერთმა!

„სიკვდილის ლოდინი ლხენაა!“ – ესეც შვილმკვდარი დედის რაღაც თავისებური ოპტიმიზმია. დავაკვირდეთ ამ მხრივ XXI თავს – **„ეძახის“**: ქრისტეშობის თოვლიან ღამეს ოთარაანთ ქვრივი შვილის საფლავზე მიდის, მიდის, მაგრამ ავტორი არაორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ სახლში **„ვილაცა“** რჩება. დიახ, ოთარაანთ ქვრივი კვდება, მაგრამ **„იმ ვეებერთელა სოფელ წაბლიანში“ ვილაცა „მძინარე რჩება“**. აი, ავტორის ეს დიდი სიმბოლიკა გაორებული ოთარაანთ ქვრივისა:

„...ცოტა მოშორებით ვილაცა მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლის პირას იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა...

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა. იმას ისევ გულიანად ეძინა.

რაში ჰგავდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი!“

ამ ძახილისნიშნიანი სიმბოლიკის შემდეგ ილია ამ თავს ამთავრებს კიდევ ერთი დიდი სიმბოლიკით:

„მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის – მამინაცვალიო“. ესეც საქართველოს ძველი თუ ახალი ისტორიის მრავლისმეტყველი ფილოსოფიური გააზრებაა...

შემთხვევითი არაა, რომ ამ სიმბოლიკას უშუალოდ მოსდევს ბოლო, XXII თავი კიდევ უფრო დიდი სიმბოლური სათაურით – **„წყევა-კრულვიანი საკითხავი“**. ავტორის გააზრებით, უმართებულოდ დაჩაგრული მეწისქვილე სოსია, რომელმაც **„ცოცხალზე ვერ გაიხარა“** და არც მკვდარი **„დაატირეს“**, უბედური კაცია, – **„ცოდოა“**... და აქვე ახალი სიმბოლიკაც, უფრო განზოგადოებული და გლობალური გააზრებით ნათქვამი:

„მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა–კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორ–მასწორო წუთისოფელში".

მართლაც რომ ისტორია – ჩვენიც და სხვათაც, სავსეა ასეთი **„უსწორ–მასწოროებით"** და მოულოდნელობებით. მოულოდნელი იყო გარნისის მარცხი და მისი მსგავსი სხვა მრავალიც, ძირეულად რომ შეცვალა „ოქროვანი ხანის" საქართველოს ჟამთასვლა... წინ კიდევ რამდენი მოულოდნელობები გველის ავიც და კარგიც (ავი გვაშოროს ღმერთმა), არავინ იცის. არავინ იცის თუნდაც, წუთისოფლის მორიგი წამები და წუთები, დღეს, ხვალ და ზეგ რომ გველოდება წინ... ისტორიის ამ ფენომენზეა აგებული პრაგმატიზმის ერთ-ერთი ახალი თეზა და პრინციპი, რომელიც ამასწინათ ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში ამოვიკითხე: **„იყავი პრაქტიკული და ელოდე მოულოდნელს!"**. ამან ჩემში თავისებური იუმორიც ასაზრდოვა:

დღეს პრაგმატიზმმა კაცთა მოდგმას, –
ქალსა თუ კაცს, დიდს თუ პატარას,
ახალი იდეა შემოგვთავაზა:
„იყავი პრაქტიკული და ელოდე მოულოდნელს!"
ამაზე წერენ სადღა არა და სადღა არა...
უცნაური ხალხია
ეს ევროპელნი – ამერიკელნი,
თითქოს-და, ახალს გვეუბნებიან:
მოულოდნელის მეტი
რა გვინახავს,
ქართველებს მეტი
რა გადაგვხდენია?!..

„ლოლდინი“:
„მოლოდინი“,
„მოულოდნელი“,
ქართველნი ოდითგან
ამით მოვდივართ...

პრაგმატიზმის ფილოსოფია სტუდენტობიდანვე მიყვარდა და სერიოზულადაც ვსწავლობდი მას. განსაკუთრებით მომწონდა ჭეშმარიტების ეს მისეული გაგება, ჯონ დუის მიერ გამოთქმული: **„ჭეშმარიტება არის ის, რაც სასარგებლოა ჩემთვის“**. მართლაცდა, ყველა კაცს თუ ყველა ხალხს და ქვეყანას ყველას თავისი სარგო ჭეშმარიტება აქვს და ღმერთმა ქნას, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენც ვეწიოთ ჩვენს სარგო ჭეშმარიტებას ამ „უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელში“, რათა ილიასეული **„წყევა-კრულვიანი საკითხავი“** არ დაგვიდგეს კვლავ. გლობალიზმი კი, ასეთ **„საკითხავებს“** აუცილებლად დაგვიყენებს. ამასთან, იგი ისეთი გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, რომ არავინ იცის, რა სიურპრიზებს გვიმზადებს ახლო თუ შორეულ მომავალში...

სიურპრიზები და მოულოდნელობანი კი, პრაგმატიზმისა არ იყოს, ისტორიის მუდმივი თანამგზავრია და მისთვის მუდამ მზად უნდა ვიყოთ. ეს მზად ყოფნა კი, ისევ პრაგმატიზმს თუ დავუჯერებთ, ჩვენი **„პრაქტიკულობაა“**, მაგრამ ესეც ხომ საკითხავია – რას უნდა დაეყრდნოს და დაეფუძნოს ეს ჩვენი პრაქტიკულობა? რა არის ის, რაც პრაქტიკულ ნაბიჯებს და ქმედებებს უშეცდომოდ გადაგვადგმევინებს? პასუხი აქ ერთია – ისტორია, ჩვენი წარსული გამოცდილება, რამეთუ – **„ისტორია მთხრობელია იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება რომ ვიქმნეთ“.** იქვე ილია უფრო აკონკრეტებს თავის აზრს და წერს:

„არ ვიცით სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას

ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა – ბოგანო, ვისაც არავინ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და საით მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს".

ამავე სტატიაში – **„დავით აღმაშენებელი"**, ილია ანვითარებს იმ იდეას, რომელიც დღეს გლობალისტების საყვარელი თემაა – ტოლერანტობას. ეს თავის მხრივ უკავშირდება ჩვენი და ჩვენი ისტორიის წინააღმდეგ ამ 25 - 30 წლის წინ წამოყენებულ „ბრალდებას" ე.წ. **„მცირე იმპერიის"** შესახებ: თურმე ნუ იტყვით, ქართველებს გენეტიკაშიც და ისტორიულადაც მოგვდგამს იმპერიული მისწრაფებანი დაიპყრონ და დაიმორჩილონ სხვა ხალხები. მაგალითი XI – XIII საუკუნეების საქართველო „მცირე იმპერიაა", – ამ ფაქტს ხომ, ვერსაით წაუხვალთო, გვეუბნებიან ნიშნისმოგებით, ილიას ლუარსაბისა არ იყოს – „მეტი რაღა გინდათ ვეჟო", – კავკასიური იმპერიაც თქვენ შექმენით ამ ათასი წლის წინ და თუ გენეტიკაც გინდათ, თქვენი სტალინი არ არის ბოლშევიკური იმპერიის შემომქმედი?!... ისე, რომ მტკიცება არ უნდა – ძვალ-რბილში გაქვთო გამჯდარი იმპერიული სული, სხვას რომ უკიჟინებთ მას...

„მცირე იმპერიის" თეორია ქართველოფობობის ერთ-ერთი არგუმენტია დღეს და ღირს ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამაზე: მართლაც, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული ეს არეალი, „ქართლის ცხოვრების" დეფინიცია რომ გამოვიყენოთ, – **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდგან არეგაწამდე"** გადაჭიმული საქართველო და ქართული სახელმწიფო კავკასიის ყველა ბალხს აერთიანებდა ერთ პოლიტიკურ წარმონაქმნად, მაგრამ საკითხავია – როგორ, რა გზით და საშუალებებით მოხდა ეს და რაც მთავარია, რა ზნეობრივ და სულიერ ღირებულებებს ეფუძნებოდა იგი? ამ კითხვებზე სწორი და ობიექტური პასუხი მარტო ისტორიულ ჭეშმარიტებამდე კი არ მიგვიყვანს,

გარკვეულწილად, გლობალიზმის დღევანდელ და ხვალინდელ პრობლემებზეც გაგვცემს პასუხს...

პრობლემები კი, გიყვარდეთ, სულ უფრო უმრავლდება და ურთულდება კაცსაც და კაცობრიობასაც ამ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის გარიჟრაჟზე. მარქსის **„მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის"** ნაცვლად, გლობალიზმმა მასზე არანაკლები თავსატეხები გააჩინა დედამიწაზე. მაშინდელი ეპოქის ინგლისის და შემდგომ კი, ევროპის **„სამრეწველო რევოლუცია"** და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ბავშვურ გართობად მოჩანს გლობალიზმის თანამედროვე **„ტექნოლოგიურ რევოლუციასთან"**, მის საერთო ზნეობრივ და სულიერ, თუ მატერიალურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან...

გლობალიზმმა მსოფლიო თითქოს დააპატარავა, მაგრამ ამასთან, პრობლემები კიდევ უფრო გაზარდა ჩვენს პლანეტაზე. ტერორიზმიდან დაწყებული, ეკოლოგიური პრობლემებით დამთავრებული, გლობალიზმმა ეს ყველაფერი საყოველთაო საფიქრალად და საზრუნავად გახადა. იმპერიული მისწრაფებანიც ჯერხნობით არ მომკვდარა და ისინიც გარკვეულ სახეცვლილებას განიცდიან. კვლავ თავისებურად მიმდინარეობს ბრძოლა **„ადგილისათვის მზის ქვეშ"**. ყველასათვის ნათელი ხდება, რომ ამ ბრძოლაში ერთიანი ევრაზიული სივრცე გადამწყვეტი სტრატეგიული არეალი ხდება. ძველი **„აბრეშუმის დიდი გზა"** წყნარი და ინდოეთის ოკანეებიდან ატლანტიკამდე, ახალ ძალას და ახალ სიცოცხლეს იძენს. ამის დასტურია თუნდაც 1999 წლის აშშ კანონი – **„აბრეშუმის გზის სტრატეგია"**...

გლობალიზმის ეს ნეოიმპერიული მისწრაფებანი და ტენდენციები აქედანვე თუ არ აღიკვეთა, ნაციონალიზმის ზრდა და მისი ტერორიზმში თუ სხვა რადიკალურ ფორმებში გადასვლა გარდუვალი იქნება. ამას აქედანვე უნდა გათვალისწინება. ევრაზიის და

შემდგომ კი, მსოფლიოს ერთიანი დემოკრატიული სივრცის შექმნაა ამის წამალი, **„მსოფლიოს შეერთებული შტატების"** შექმნა, როგორც ამას ჩერქეზიშვილი ვარაუდობდა. ცალკეულ რეგიონებშიც ალბათ, ამის მსგავსი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები განვითარდება, ვთქვათ, ისევ ჩერქეზიშვილისეული, **„კავკასიის კონფედერაციის" და „კავკასიის შეერთებული შტატების" სახით.**

ამ მხრივაც გვინდა კვლავ გავიხსენოთ ე.წ. **„მცირე იმპერია"**: ალბათ, ვერ ვნახავთ კაცობრიობის ისტორიაში ამ ე.წ. „მცირე იმპერიის" მსგავსს. აქ ისევ ილია მინდა მოვიხმო და მოვიშველიო, ამ ეპოქის მისეული ანალიზი და შესაბამისი პოლიტიკური დასკვნაც:

„...დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა, ...ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!"

მართლაც რომ საკვირველი და საოცარი მაგალითია და გვინდა შევახსენოთ „მცირე იმპერიის" იდეოლოგებს ისიც, რომ ილია აქ მარტო „ქართლის ცხოვრების" ჩვენს ჟამთაღმწერელ – ისტორიკოსებს კი არ ეყრდნობა და არ იმოწმებს, ა რამედ არაერთ უცხოურ – არაბულ, სომხურ, ბიზანტიურ წყაროებსაც. ისე, რომ არავისგან სასწავლებელი არა გვაქვს ტოლერანტობა, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა პატივისცემა და შემწყნარებლობა. სწორედ ამ ღირებულებებზე შეიქმნა

მაშინდელი კავკასიის ეს პოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ერთობა და არა სხვა ხალხებისა და ქვეყნების დაპყრობა-მიტაცებაზე...

ზევითაც ვთქვით – ეს ჩვენ გლობალიზმის ეპოქის რეგიონალურ გაერთიანებათა ფორმირებისა და განვითარების ნიმუშად და მაგალითადაც მიგვაჩნია, იმის ნიმუშად და მაგალითად, თუ როგორ შეიძლება **„მორიგდნენ ბედნიერად"** გლობალიზმი და ნაციონალიზმი მომავალში. ეს რომ ვინმეს გაზვიადებად და თვითრეკლამად არ მოეჩვენოს, ვურჩევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩაიხედოს **„ქართლის ცხოვრებაშიც"** და სხვა მაშინდელ ისტორიულ წყაროებშიც. ამ მხრივ, მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ მაშინდელი ჩვენი მეფეების რეგალიებში ხშირად ვხვდებით გამოთქმას – **„შვიდთა სამეფოთა მეფე"**. განსაკუთრებით ხშირია ეს თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებში...

ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ბაგრატიონთა დინასტიის მაშინდელი მეფენი თავიანთ სამეფოში შემავალ კავკასიელ ხალხებს და ქვეყნებს თანაბარუფლებიან სუბიექტებად განიხილავდნენ. ამიტომაც ბაგრატიონთა უძველესი სამეფო დინასტია ფაქტიურად **საერთო-კავკასიურ დინასტიად** გადაიქცა. სწორედ ამიტომ სარგებლობდნენ ბაგრატიონებიც დიდი ავტორიტეტით არა მარტო ქართველებში, არამედ სხვა კავკასიელ ხალხებშიც. ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სხვა **„მაშინდელ სამეფო დინასტიებს შორის, ბაგრატიონთა დინასტია გამოირჩეოდა თავისი დიდი ჰუმანიზმით და დემოკრატიულობით"...**

„ქვათა ღაღადისა" არ იყოს, თუ წინასწარი აკვიატებით და მიზანმიმართულებით არ არის ჩაფიქრებული ამ **„ცრუ-მეცნიერთა"** მიერ ანტიქართული პასკვილი, საიდან და რა წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებენ კავკასიელ ხალხებზე ჩვენს დიდმპყრობელურ იმპერიულ დამოკიდებულებას? აბა, თუნდაც ერთი აჯანყება მოიყვანონ ამის მაგალითად XI საუკუნიდან დაწყებული

XIX საუკუნემდე **„ქართული იმპერიული სულისა და პოლიტიკის“** დასტურად?! არცერთი ამის მსგავსი არ ყოფილა არც ჩრდილოეთ და არც სამხრეთ კავკასიაში. **ვიმეორებთ, არცერთის!** ამაზეც ლუარსაბივით ხომ, არ იტყვით – გაფრენილანო... პირიქით, ჩვენ მუდამ მხარში ვედექით სხვა კავკასიელ ხალხებს ლხინსა თუ ჭირში საუკუნეთა მანძილზე. სულ ახლახანს განა ქართველებმა არ დაუბრუნეს II მსოფლიო ომის დროს გასახლებულ ჩრდილო კავკასიელებს თავიანთი სახლ-კარი ქლუხორში?! – ეს არის **„ქართული იმპერიული სული“?!** ილიასეული „ცრუმეცნიერობაც“ ესაა...

– ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო და ეს „მცირე იმპერიის“ დემაგოგიაც ვერ შეარყევს კავკასიელთა ერთობისა და სოლიდარობის დიდ გრძნობას. აკი, თვითონ რუსებმაც შეგვარქვეს ამის დამადასტურებელი საერთო სახელი – **„კავკაზსკი ჩელოვეკ“**, ანდა, **„ლიცა კავკაზსკოგო პროისხაჟდენია“**. ჭეშმარიტად რომ ასეა – ისტორია ხომ ენაშიც აირეკლება... ივანე ჯავახიშვილი თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში – **„ქართული სამართლის ისტორია“**, ძველ ქართულ სახელისუფლო ინსტიტუტებს რომ ახასიათებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **„საქვეყნოდ გამრიგე მოხელეს“**. ვინ იყო და რას წარმოადგენდა იგი ქართულ სახელისუფლო სტრუქტურებში? როგორც წყაროებიდან ირკვევა, იგი **„ქვეყნის განაპირა მხარეების“** ის მოხელე და ცენტრიდან დანიშნული მმართველია, რომელიც თავისებური შუამავალი იყო ცენტრალურ და ადგილობრივ მართვა-გამგეობას შორის და ამასთან, ქვეყნის ძირითად ეთნოსსა და სხვა ხალხებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად...

ამ გონიერმა და შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ ერთ მთლიან საზოგადოებად შეკრა მაშინდელი კავკასია და კავკასიელები. სწორედ ამან წარმოშვა და ასაზრდოვა ლეონტი მროველის **„კავკასიის საერთო**

სახლის" დიდი პოლიტიკური იდეა და ამ იდეის ცხოველმყოფელობა საუკუნეთა მანძილზე. ცნება – **„კონალობაშიც"** არის ასახული ყოველივე ეს, რაც სწორედ ამ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და მეგობრობას ნიშნავს მაშინაც და დღესაც.

ეს ქრისტეს აქეთ ამ ათასი წლის წინ და თუ იქით ათასწლეულებსაც გადავხედავთ, ალბათ ყველაზე ნიშანდობლივი მაგალითი ამ მართლაც უნიკალური ქართული ტოლერანტიზმისა ებრაელი ერი და ქართველი ებრაელებია, **„სამშობლოს"** გაორებული გრძნობა რომ წარმოშვა და ასაზრდოვა მათ ფსიქიკაში ბაბილონის ეპოქიდან დღემდე. ილია, სადაც კი ეხება ამ თემას, პუბლიცისტიკაში, პროზასა თუ პოეზიაში, სიამაყით აღნიშნავს ქართულ-ებრაულ ურთიერთობის ამ ფენომენს. მან ებრაელი ერის და ებრაული სახელმწიფოს ფენიქსისებური აღდგენა-აღორძინებაც ინინასწარმეტყველა და იქადაგა: **„დიდ ისრაილი... გამოაცოცხლებს ისევ იმ გულთა და იგალობებს კვლავცა სიონი" („ებრაული მელოდია").** აუღელვებლად ვერ წაიკითხავს კაცი დღესაც 1886 წლის მის სტატიას – **„ებრაელთა საკითხზე"**, სადაც ამხელს და გმობს ევროპაში მომძლავრებულ ანტისემიტიზმს:

„არცერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს... აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში... ახლაც კი, როდესაც ეგოდენ პლაღადებენ კაცთმოყვარეობაზე, თვით განათლებულს ევროპაშიც სდევნიან, სადაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულვილსა და დაუნდობლობას".

აქ, ჩვენთან კი, ებრაელი კაცი **„უძმოთა ძმა"** გახდა, აქ ნახა მან **„ნაცვლად სიძულვილისა და ბოროტებისა, სიყვარული და სიკეთე მშვიდობისმყოფელობისა".** ამ ილიასეულმა გააზრებამ მიბიძგა პოეტურადაც გა-მომეხატა ყოველივე ეს, რომლის ერთ ფრაგმენტს აქ შემოგთავაზებთ:

არავინ იცის
პირველად ვინ თქვა,
ეს საოცარი
„უძმოთა ძმა ხარ"ი..
ერთი კი ვიცი,
სად ითქვა იგი...
აბა, თქვით ახლა
სხვაგან სად ნახავთ,
ამ საოცარ თქმას –
„უძმოთა ძმა ხარ"ი..

მართლაც რომ უსაზღვროა ილიას ჰუმანიზმი. ნათლად არის ასახული ეს **„სახრჩობელაზედ"** – ქართული ნოველის ამ შედევრში, ისევე, როგორც **„საახალწლო მოთხრობაში – ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი"**. კარგი იქნება, თუ ვთარგმნით მათ უცხო ენაზე – აქ ხომ, ქართული სული და ქართული ხასიათია გადმოცემული...

დიახ, ბატონო „მცირე იმპერიის" მესვეურებო, ქართველ კაცს, როგორც ილია წერს კანონიერი სიამაყით, არასოდეს მოუსურვებია სხვა ერთა ჩაგვრა. უტყუარი ფაქტები ამას ღაღადებენ და რაც უნდა ანტიქართული ინსინუაციებით აღიჭურვონ „მცირე იმპერიის" თეორიის მესვეურები, მათ ვერ შეცვლიან. ხომ ვნახეთ – თვითონ ენამაც კი, შემოგვინახა ეს და დღესაც სწორედ ასეთი **„კავკასიური კონალობა"** სჭირდება სხვა ხალხებსაც გლობალიზმის ეპოქის მსოფლიოში, რათა **„კულტურათა და ცივილიზაციათა შეჯახების"** ნაცვლად, დამკვიდრდეს და განმტკიცდეს **„დიალოგისა და თანამშრომლობის"** კულტურა ყველგან. **„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია"** – ეს სწორედ „მცირე იმპერიის" ეპოქაში ითქვა და „ვეფხისტყაოსნის" მთავარი იდეაც ხომ, სიყვარულისა და მეგობრობის ძალაა. სწორედ ამ ძალამ გაამარჯვებინათ პოემის მთავარ გმირებს. **„ქაჯეთის ციხე"** ამ შემთხვევაში, ბოროტების სიმბოლოა და დღესაც, როგორც მაშინ პოემის სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური რწმენის

მქონე გმირების მსგავსად, ბორიტებას მხოლოდ ასეთი სულიერი და ზნეობრივი ძალით დავამარცხებთ.

„მცირე იმპერიის" ანტიქართული პასკვილის მეს̈ყეურებს ვურჩევთ, რომ კარგად ჩაიკითხონ და გაიცნონ საქართველოს ისტორია და მისი კულტურა. ზოგად-კაცობრიული ღირებულებანი უცხო არასოდეს ყოფილა ჩვენთვის ფარსმან ქველიდან და პეტრე იბერიდან მოყოლებული... ილიას **„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგების"** იდეაც ისეთ ზოგად-კაცობრიულ ღირებულებებს განეკუთვნება, რომელიც ჩვენც და სხვა დანარჩენ ერებსაც უჩვენებს გზას იმ დილემის გადასაჭრელად, რის წინაშეც დღეს კაცობრიობა დგას, ამიტომ მიგვაჩნია ილია მართალი არა მარტო დიდ ეროვნულ, არამედ რეგიონალური და გლობალური მასშტაბის მოაზროვნედ. ჭეშმარიტად რომ მას „მასშტაბები შეხვდა მცირე, თორემ მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა"...

ბოლოთქმა

მაშ, ასე – გლობალიზმი და ნაციონალიზმი დღეს ურთიერთდაპირისპირებულ ძალებად რჩებიან ჩვენს პლანეტაზე. ჯერჯერობით ისინი ურთიერთშემავსებელნი ვერ გახდნენ და მოვლენებს ისეთი პირი უჩანს, რომ კარგა ხანს ვერც გახდებიან. ეს ჩვენი დედამიწა კი ძველებურად მიდის და მიჰქრის თავისი გზით ქოხ-მახებით თუ ცათამბჯენებით...

ყველაფერს ამას კი, დიდი ფიქრი და დიდი განსჯა სჭირდება ჩვენგან... **„თუ კაცი გონიერია, სოფელიც ღონიერია"** – ძველი, მაგრამ მარად ახალი სიბრძნეა. ეს სიტყვაც – **„სოფელი"**, ადრეც ვთქვით, ქართულ ენაში ორგვარი სემანტიკური გაგებისაა – ცალკე კაცის საცხოვრისსაც ნიშნავს და მთელი კაცობრიობის საცხოვრისსაც. გლობალიზმიც და ნა-

ციონალიზმიც მაშინ **„მორიგდებიან ბედნიერად“**, როცა გონიერება წარუძღვება წინ ამ პროცესს ყველგან. მსოფლიოში ასობით და ათასობით სხვადასხვა რწმენისა და კულტურის ერი, ცალკეული ეთნოსი და ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს და მხოლოდ მათი ამ ილიასეული პრინციპით შეიძლება ჰარმონიული თანაცხოვრების მიღწევა **„ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“**. ამით გლობალიზმს და ნაციონალიზმს ურთიერთდაპირისპირებულთ კი არა, **ურთიერთშემავსებელთ გავხდით...**

ბევრ ერს არ ჰყავს და ძალის ძალით იგონებენ თავის ისეთ ერისკაცს, რომლის მემკვიდრეობასაც ზოგად-კაცობრიული ღირებულებანი და მასშტაბები აქვს. მადლობა უფალს, ილიას მიმართ ჩვენ ეს არ გვჭირდება. თუ დავაკვირდებით, ილიასთან სიტყვები – **„მშვიდობა“** და **„მშვიდობისმყოფელობა“** მისი ლექსიკის ყველაზე განუყოფელი და აზრტევადი ცნებებია. მას ხომ, იგი თვით **„ღვთაების“** რანგამდე აჰყავს...

ამ მხრივ და ამ გააზრებით, „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსი **„მსოფლიოში მშვიდობის სუფევა“** არის. ამიტომაც ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ დაფუძნდება **„ილიას მშვიდობის ისტიტუტი“**, როგორც ამ თეორიის კვლევის საერთაშორისო-სამეცნიერო ცენტრი.

ბევრ ქვეყანას აქვს თავისი ღირსეული შვილების მოსახელე ასეთი ცენტრები (ვაშინგტონის, ლინკოლნის, შექსპირის, გოეთეს, ჰიუგოს და ა.შ.) და ილია ჭავჭავაძეც უთუოდ იმსახურებს ამას. ჩვენ თვითონ უნდა შევძლოთ ჩვენი დიდი წინაპრების წარმოჩენა. ჩვენს გარდა ამას არავინ გააკეთებს...

თავის მხრივ „ილიალოგთა კლუბი“ მზად არის აქტიური ჰონაწილეობა მიიღოს „ილიას მშვიდობის ინსტიტუტის“ ფორმირებაში. ამას ჩვენ არა მარტო მეცნიერული კვლევის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განვითარების დიდ-

მნიშვნელოვან ბოკლენად მივიჩნევთ. ამ მხრივაც საჭიროა ილიასეულ საერთო ნიადაგზე დავდგეთ...

მხოლოდ ეს გაგვიყვანს **„ტაძრისაკენ"** მიმავალ გზაზე... გენიოსურად ითქვა გალაქტიონისაგან ამ ასი წლის წინ:

„წინამურთან რომ მოკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი"...

ასი წლის შემდეგ იგივე პრობლემა დგას, როგორც ასი წლის წინ, როცა წინამურთან მესამედასელმა კაცისმკვლელებმა ქართული ნაციონალიზმისა და ჰუმანიზმის **„დიდი ეპოქა"** დაამთავრეს. ამოცანაც ის არის, რომ აღსდგეს და გაგრძელდეს იგი...

საქართველოს მომავლის ეს რწმენა და იდეა მაშინ არა ერთმა სხვა დიდმა ერისკაცმაც გააჟღერა. პირველად ვაჟა ფშაველამ უწოდა ილიას „საქართველოს მომავლის დიდი ეროვნული იდეოლოგი", ხოლო იაკობ გოგებაშვილმა ეს მომავალი ასეთი სიმბოლური სიტყვებით ინინასწარმეტყველა:

„იქნებ მომავალში მსოფლიოს არცერთ ერს არ დასჭირდეს თავისი გენიოსი წინაპარი ისე, როგორც ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს".

ღმერთმა ქნას, რომ ეს წინასწარმეტყველება რაც შეიძლება მალე აღსრულდეს...

ელბერდ ბატიაშვილი,
„ილიალოგთა კლუბის" გამგეობის თავმჯდომარე

599-92-87-12; 2-93-60-32